თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5862910

ნომერი: AR1886141

თარიღი : 11.03.2022

გაცემის თარიღი : 23.03.2022

გაცნობის თარიღი : 23.03.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, N 62ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა არევაძე პ/ნ 56001003302
- ქ. თბილისი, გურამიშვილის N66ა, პირველი სართული

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 სექტემბრის №5600434 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 11 მარტს №AR1886141 განცხადებით მომართა მამუკა არევაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 16

სექტემბრის №5600434 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 სექტემბრის №5600434 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირი №62ბ-ში მდებარე №01.12.01.005.100 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 16 სექტემბრიდან 2025 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 სექტემბრის №5600434 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი დამხმარე 120.9 კვ.მ. ფართობის დამატებას და ასევე, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 10683.0 კვ.მ-ის ნაცვლად 10984.5 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 2901.0 კვ.მ-ის ნაცვლად 2798.0 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 3963.5 კვ.მ-ის ნაცვლად 3936.2 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2244.1 კვ.მ-ის ნაცვლად 2096.2 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 3955.3 კვ.მ-ის ნაცვლად 3556.3 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 23746.9 კვ.მ-ის ნაცვლად 23492.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-ნახაზები, ასევე შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ აღნიშნულ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 სექტემბრის №5600434 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 სექტემბრის №5600434 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაემატოს გამორჩენილი დამხმარე 120.9 კვ.მ. ფართობი. ასევე, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 10984.5 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 2798.0 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 3936.2 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2096.2 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 3556.3 კვ.მ., საერთო ფართობად - 23492.1 კვ.მ.
2. სამსახურის 2021 წლის 16 სექტემბრის №5600434 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 სექტემბრის №5600434 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 სექტემბრის №5600434 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.